პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ს

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ცხოვრებაში სულ უფრო მკვიდრად იკიდებს ფეხს საწარმოო ტანვარჯიში.

სურათზე: ავტოქარხნის ანგარიშსწორების განყოფილების მუშაკები ასრულებენ საწარმოო ტანვარჯიშს.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

სპორტი უორკეცებს ენერგიას

1955 წელს ანზორ ხაბეიშვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 32-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოშენებლო ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში გაიშალა მისი სპორტული ნიჭი. ა. ხაბეიშვილით დაინტერესდა ცნობილი მოჭიდავე ა. მუზაშვილი. აღმზრდელმა თავიდანვე შენიშნა ახალგაზრდის ფიზიკური მონაცემები, მის ყოველ ილეთსა და მოძრაობას თვალყურს ადევნებდა და დროულად შექონდა კორექტურა კლასიკურ ჭიდაობაში მომავალი ჩემპიონის სპორტულ დავაჟკაცებაში.

განსაკუთრებით დაუვიწყარია ა. ხაბეიშვილის სპორტულ ბიოგრაფიაში 1960 წელი, როდესაც მძიმე წონის ფალავნებს შორის კლასიკურ ჭიდაობაში რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ხარკოვში გამართულ სტუდენტთა II საკავშირო თამაშებში თავისი ინსტიტუტის კოლექტივის წარმატებაში ღირსეული წვლილი შეიტანა. მძიმე და დაძაბული იყო ის დღეები. ორ დღეში ბევრჯერ მოუხდა საჭიდაო ხალიჩაზე გასვლა და წმინდა გამარჯვებებით ისახელა თავი. ჩემპიონის წოდებაც სუფთა დამსახურებამ და სპორტსმენტატის სახელი მოიპოვა.

ა. ხაბეიშვილის დამსახურების სიგელების ნუსხა ახალგაზრდა მოჭიდავის გავლილი სპორტული გზის მაუწყებელია. იგი ზედიზედ აღწევს გამარჯვებებს. სულ ახლახან ბათუმში გამართულ საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაზე ა. ხაბეიშვილმა პირველი ადგილი დაიკავა.

მზარდმა სპორტსმენმა მიმდინარე წელს წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი და იქვე დასტოვეს მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრაზე, სადაც პროფ. ა. კაკუშაძის ხელმძღვანელობით იმაღლებს ინჟინრის პროფესიას. სპორტი და სწავლა ა. ხაბეიშვილს ჰარმონიულად აქვს შეხამებული. სპორტი უორკეცებს მას ენერგიას მეცნიერების დაუფლებისათვის.

ა. კოკაია

საშემოდგომო სპარტაკიადა

სიღნაღის „კოლმეურნეს“ რაისაბჭომ საშემოდგომო კულტურების აღებასთან დაკავშირებით ჩაატარა სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. სპარტაკიადის მონაწილეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპორტის 5 სახეობაში: ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთში და ტყვიით სროლაში. სპარტაკიადაში მონაწილეობდა საკოლმეურნეო ფიზკულტურის 12 კოლექტივი. საჯარიმო ქულების უმცირესობით პირველი ადგილი მოიპოვა ბოდბისხევის ფიზკულტურის კოლექტივმა, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი. მეორე ადგილზე გამოვიდა ძველი ანაგის, ხოლო მესამეზე — ანაგის საკოლმეურნეო ფიზკულტურის კოლექტივები.

ნ. მღებრიევა

საქალაქო პირველობაზე

ბათუმში დამთავრდა ქალაქის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „დინამოს“ მოჭიდავეებმა. ქალაქის ჩემპიონის ხახელი წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ი. ბობოყვაძემ, ბ. გოგიჩაიშვილმა, ნ. თავბერიძემ, ნ. ჭყონიამ (ყველა „დინამო“), ვ. ხიდაშელმა („განთიადი“), სპორტის ოსტატმა ი. ტყეღუშმა და ა. დიასამიძემ (ორივე „სპარტაკი“).

ბ. ბანტურია

ასპარეზობენ მოსწავლეები

ჩატარდა ამბროლაურის საშუალო და შვიდწლიანი სკოლების პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. ცალკეული სახეების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ნ. ბიჭაშვილმა, ი. დალაქიშვილმა, გ. ნეფარიძემ (II საშ. სკოლა), ა. კახიძემ, თ. ხიდურელმა, ი. მელაშვილმა, გ. დონაძემ (I საშ. სკოლა), თ. ჭელიძემ (სადმელის საშ. სკოლა), ნ. კობახიძემ (ხოტევის საშ. სკოლა), ლ. მიქუტაძემ (ზნაკვის საშ. სკოლა).

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ამბროლაურის I საშ. სკოლამ. შვიდწლიან სკოლებში — ჭრებალოს მოსწავლეებმა.

ა. ვაჩაძე



კითხვა: როგორი წესით უნდა ჩატარდეს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები იმ საშუალო სკოლების VIII–X კლასებში, რომლებიც ძველი სასწავლო გეგმით მუშაობენ?

პასუხი: იმ საშუალო სკოლების VIII–X კლასებში, რომლებიც ძველი სასწავლო გეგმით მუშაობენ, ფიზიკურ აღზრდას დათმობილი აქვს 2–2 საათი. პროგრამა ჭაბუკთა და გოგონებისათვის შედგენილია ცალ-ცალკე და მეცადინეობაც ასე ტარდება. ამ კლასების მოსწავლე გოგონები ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობენ კვირაში 2 საათს, ხოლო ჭაბუკები — თითო საათს. გამონაკლისს წარმოადგენს VIII კლასი, სადაც გოგონები და ჭაბუკები ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობენ 2–2 საათს. ამ კლასებში მეცადინეობა უნდა ჩატარდეს შემდეგი წესით: მაგალითად, VIII კლასში ორშაბათს გოგონებთან და ჭაბუკებთან გაკვეთილს ატარებს ორი მასწავლებელი ერთდროულად, მაგრამ ცალ-ცალკე. ხუთშაბათს ამავე კლასში ტარდება მეცადინეობა ფიზიკურ კულტურაში გოგონებთან და ჭაბუკებთან ერთად. ე. ი. აღნიშნული კლასების მოსწავლე გოგონებთან და ჭაბუკებთან მეცადინეობა ფიზიკურ კულტურაში ტარდება კვირაში 3 საათის რაოდენობით (პირველი მეცადინეობა ტარდება ცალ-ცალკე, ხოლო მეორე — ჭაბუკებისა და გოგონების გაერთიანებით). ამრიგად, VIII კლასში გეგმით გათვალსწინებული 2 კვირეული საათის ნაცვლად, ანაზღაურდება 3 საათი.

კითხვა: როგორი წესით უნდა ჩატარდეს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები ქალაქისა და სოფლის საშუალო საწარმოო სწავლების სკოლების IX–X–XI კლასებში?

პასუხი: ქალაქის საშუალო საწარმოო სწავლებიანი სკოლის IX–X კლასებში ფიზიკურ აღზრდას დათმობილი აქვს 2–2 საათი. აქ გოგონები მეცადინეობენ კვირაში 2 საათს, ხოლო ჭაბუკები — თითო საათს. გოგონებისა და ჭაბუკების მეცადინეობა ფიზიკურ აღზრდაში ტარდება ცალ-ცალკე. ამგვარად, IX–X კლასებში გეგმით გათვალსწინებული 2 კვირეული საათის ნაცვლად ანაზღაურდება 3 საათი.

კითხვა: როგორი წესით უნდა ჩატარდეს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები იმ საშუალო სკოლების VIII–X კლასებში, რომლებიც ძველი სასწავლო გეგმით მუშაობენ?

პასუხი: ამ საშუალო სკოლების VIII–X კლასებში, რომლებიც ძველი სასწავლო გეგმით მუშაობენ, ფიზიკურ აღზრდას დათმობილი აქვს 2–2 საათი. ამ კლასების მოსწავლე გოგონები ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობენ კვირაში 2 საათს, ხოლო ჭაბუკები — თითო საათს. გამონაკლისს წარმოადგენს VIII კლასი, სადაც გოგონები და ჭაბუკები ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობენ 2–2 საათს. ამ კლასებში მეცადინეობა უნდა ჩატარდეს შემდეგი წესით: მაგალითად, VIII კლასში ორშაბათს გოგონებთან და ჭაბუკებთან გაკვეთილს ატარებს ორი მასწავლებელი ერთდროულად, მაგრამ ცალ-ცალკე. ხუთშაბათს ამავე კლასში ტარდება მეცადინეობა ფიზიკურ კულტურაში გოგონებთან და ჭაბუკებთან ერთად. ე. ი. აღნიშნული კლასების მოსწავლე გოგონებთან და ჭაბუკებთან მეცადინეობა ფიზიკურ კულტურაში ტარდება კვირაში 3 საათის რაოდენობით (პირველი მეცადინეობა ტარდება ცალ-ცალკე, ხოლო მეორე — ჭაბუკებისა და გოგონების გაერთიანებით). ამრიგად, VIII კლასში გეგმით გათვალსწინებული 2 კვირეული საათის ნაცვლად, ანაზღაურდება 3 საათი.

კითხვა: როგორი წესით უნდა ჩატარდეს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები ქალაქისა და სოფლის საშუალო საწარმოო სწავლების სკოლების IX–X–XI კლასებში?

პასუხი: ქალაქის საშუალო საწარმოო სწავლებიანი სკოლის IX–X კლასებში ფიზიკურ აღზრდას დათმობილი აქვს 2–2 საათი. აქ გოგონები მეცადინეობენ კვირაში 2 საათს, ხოლო ჭაბუკები — თითო საათს. გოგონებისა და ჭაბუკების მეცადინეობა ფიზიკურ აღზრდაში ტარდება ცალ-ცალკე. ამგვარად, IX–X კლასებში გეგმით გათვალსწინებული 2 კვირეული საათის ნაცვლად ანაზღაურდება 3 საათი.

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის ბევრი სკოლა გადავიდა საწარმოო სწავლებაზე და ფიზიკური აღზრდის სწავლების საქმეში ზოგიერთმა გაუგებრობამ იჩინა თავი, რესპუბლიკის სკოლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები ხ. ლომიძე (ახალციხიდან), კ. ხუციშვილი (ქ. გორიდან), ო. სულაშვილი (ახმეტიდან), გ. ღონღაძე (ხაშურიდან), გ. სუარიშვილი (თიანეთიდან) გვთხოვენ გავცეთ პასუხი მათთვის საინტერესო კითხვებზე. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორმა ა. ორახელაშვილმა ჩვენი თხოვნით ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა შეკითხვებზე გასცა ასეთი პასუხები:

აღნიშნული სკოლების XI კლასებში ფიზიკურ აღზრდას დათმობილი აქვს ერთი საათი. ამ კლასების მოსწავლე გოგონები და ჭაბუკები მეცადინეობენ კვირაში თითო საათს. მეცადინეობა ტარდება ცალ-ცალკე. ამგვარად, აღნიშნული კლასების მოსწავლე გოგონებთან და ჭაბუკებთან მეცადინეობა ტარდება კვირაში 2 საათის რაოდენობით.

რაც შეეხება სოფლის საშუალო საწარმოო სწავლების სკოლების IX–X–XI კლასებს, აქ ფიზიკურ აღზრდას დათმობილი აქვს 2–2 საათი. აღნიშნული კლასების მოსწავლე გოგონები მეცადინეობენ 2 საათს, ხოლო ვაჟები — თითო საათს. გოგონებისა და ჭაბუკების მეცადინეობა ტარდება ცალ-ცალკე, ე. ი. ამ კლასების მოსწავლეებთან ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობას დათმობილი აქვს კვირაში 3 საათი. ამგვარად, აღნიშნული სკოლის IX–X–XI კლასებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 2 კვირეული საათის ნაცვლად ანაზღაურდება 3 საათი.

კითხვა: რა წესით ხდება დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლაში კლასგარეშე სპორტული მუშაობისათვის გასამრჯელოს ანაზღაურება?

პასუხი: იმ რვაწლიან და საშუალო სკოლებში, სადაც 10 და მეტი კლასია, კლასგარეშე სპორტული მუშაობისათვის დაწესებულია მასწავლებლის განაკვეთის 0,25 ხელფასი, ხოლო იმ რვაწლიან და საშუალო სკოლებში, სადაც 20 და მეტი კლასია — მასწავლებლის განაკვეთის 0,5.

საშუალო და რვაწლიან სკოლებში, სადაც 10 კლას-კომპლექტზე ნაკლებია, დაწესებულია სასკოლო ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი (ერთ-ერთ ნაპირზე მზესა და ქარს დარჩა ხათარეშოდ.

ამ ხურათზე სწორედ ეს „ინვენტარია“ აღბეჭდილი და იგი კომენტარებს არ საჭიროებს.



ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც თბილისის ზღვა თავის უფლებებში შევიდა. დედაქალაქის ორგანიზაციებმა ფართო მუშაობა გააჩაღეს ზღვის მაქსიმალური ათვისებისათვის და ხულ მალე მიხი ტალღები გადასერა ხხვადასხვა კლახეხა და ტიპის ნავმა და „კვდომა“ — ნელნელა გამოდიოდა მწყობრიდან, მის შეკეთებაზე კი არავინ ფიქრობდა და ბოლოს უყელამ დაივიწყა. ხადღაც „ბაქრა“ ძვირადღირებული ნაწილები, დარჩა მხოლოდ ჩონჩხი და ახლა იგი „თბილისის ზღვის“ ერთ-ერთ ნაპირზე მზესა და ქარს დარჩა ხათარეშოდ.

კატერმა. მათ შორის იყო თბილისის ორთქლმავალ - ყაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოხამსახურეთა ძალებით აგებული კატერიც. იგი ერთხანს კეთილხინდისიერად ახრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

შემდეგ კატერმა თანდათან იწყო

ჩვენი გაზეთის ჯილდოზე

ბაკურიანში წელს მეხუთედ გაიმართება სათხილამურო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ჩვენი გაზეთის ჯილდოზე. იგი არსებითად განსხვავდება ყველა წინანდელისაგან. იმასთან დაკავშირებით, რომ 1962 წლის 4-11 მარტს ბაკურიანსა და სვერდლოვსკში ეწყობა ხალხთა I ზამთრის საკავშირო სპარტაკიადა, გაიზარდა ამ შეჯიბრების პროგრამაც. ახალი სისტემით ღონისძიების ჩატარება ძირითად ისახავს საქართველოს მოთხილამურეთა მზადყოფნის შეფასებას მომავალი შეჯიბრებისათვის.

წლევანდელი შეჯიბრების პროგრამას დაემატა სამთო ორჭიდი 15 კილომეტრზე რბენა და ტრამპლინიდან ხტომა), აგრეთვე სპეციალური ხტომები 70-მეტრიანი ტრამპლინიდან.

ჩვენი რედაქციის პრიზები გათამაშდება ცალ-ცალკე როგორც ფიზკულტურული კოლექტივების, ისე სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდებისათვის, მაგრამ განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ფიზკულტურული კოლექტივებას ნაკრები გუნდები არ მონაწილეობენ ორჭიდსა და ტრამპლინიდან ხტომაში.

პროგრამის გაზრდამ გამოიწვია მონაწილეთა რიცხვის ზრდაც. სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდების შემადგენლობაშია 9 ვაჟი, 6 ქალი, მწვრთნელი და წარმომადგენელი, ხოლო ფიზკულტურული კოლექტივის ინტერესებს დაიცავს 3 ქალი და 4 ვაჟი (გუნდს ყავს ერთი მწვრთნელ-წარმომადგენელი).

შეჯიბრება დაიწყება 24 დეკემბერს. ამ დღეს გაიმართება რბენა 15 კილომეტრზე ვაჟებისა და ორჭიდოსნებისათვის, 5 კილომეტრზე — ქალებისათვის, აგრეთვე სლალომი როგორც ვაჟთა, ისე ქალთათვის. 25 დეკემბერს ორჭიდოსნები ტრამპლინიდან ხტომით დაამთავრებენ შეჯიბრებას. 26 დეკემბერს შეხვედრები მოეწყობა გიგანტურ სლალომში როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის, ტრამპლინიდან სპეციალურ ხტომებში და ვაჟთა რბენაში 10 კილომეტრზე.

პირველ ადგილებზე გამოსულ სპორტსმენებს გადაეცემათ ჩვენი გაზეთის რედაქციის ფასიანი საჩუქრები და პირველი ხარისხის დიპლომები, ხოლო II და III ადგილებზე გამოსული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა წინასწარი განაცხადი ზამთრის სპორტსაზოგადოებათა ფედერაციას უნდა წარუდგინონ 5 დეკემბრამდე, ხოლო სპეციალური ტრამპლინიდან ხტომა — მსაჯთა კოლეგიას. შეჯიბრების დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ბაკურიანში, ფიზკულტურული კოლექტივების ნაკრებებმა უნდა ერთვოდეს ცნობები სპორტსმენთა ასაკის, ადგილიდან. ყველა მონაწილეს თან უნდა ჰქონდეს პასპორტი ან პირადობის მოწმობა და საზოგადოების წევრობის ბილეთი.

მონაწილეთა მიღების პირობები იგივეა, რაც გასულ წლებში. მივლინების ხარჯებს გაიღებს მიმავლინებელი ორგანიზაცია, ხოლო კვებისა და ბინის ხარჯებს — საქართველოს სპორტკავშირი.

საქართველო - იაპონია — 6,5:2,5

გუშინ, თბილისში, სპორტის სახლეში გაიმართა იაპონიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელმაც სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები უმთავრესად დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა მოჭიდავეებით, რომელთა ასაკი 19 წელს არ აღემატებოდა. ახალგაზრდული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი ამ შეხვედრაზე იაპონიის გუნდიც და სწორედ ამან განაპირობა ბრძოლის სიმძაფრე და ინტერესი.

იაპონიაში ჭიდაობა დიდი პოპულარობით სარგებლობს და ამიტომაც აქაური მოჭიდავეები საერთაშორისო სარბიელზე ცნობილნი არიან, როგორც უძლიერესნი. ისინი მშვენივრად არიან მომზადებულნი ფიზიკურად, კარგად ფლობენ ტექნიკურ ნიუანსებს, იბრძვიან ტემპში, აგრესიულად და თავგამეტებით. ეს ჩვენთვის ცნობილი იყო ადრეც, შეხვედრის დაწყებამდე, მაგრამ გუშინდელ მატჩში სტუმრებმა ბევრი ისეთი თვისება გამოავლინეს, რამაც აღტაცებაში მოიყვანა როგორც სპორტის მოყვარულები, ისე თვით ჭიდაობის სპეციალისტები.

გასაოცარ მგრძნობელობას იჩენდნენ იაპონელი მოჭიდავეები მეტოქის ილეთების მიმართ. რთულ სიტუაციებში ისინი სწრაფად უღებდნენ ალღოს მოწინააღმდეგის განზრახვას და ანეიტრალებდნენ მას. ისინი შესანიშნავად ფლობდნენ კონტრილეთებსაც და სწორედ ამიტომ სახიფათონი იყვნენ კრიტიკულ მდგომარეობაშიც კი. რაც მთავარია, იაპონელი მოჭიდავეები ბრძოლის უკანასკნელ წუთამდე არ კარგავდნენ სიფხიზლეს.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ იაპონელები განსაკუთრებით ძლიერი არიან დაბალ წონით კატეგორიებში. ეს გუშინდელმა შეხვედრამაც ცხადყო. ორი შეხვედრის შემდეგ სტუმრების გუნდს ანგარიში მიჰყავდა — 2:0 და თუ პირველ ბრძოლაში მათ დაამარცხეს ახალგაზრდა და გამოუცდელი ზ. მირიანაშვილი, მეორე შეხვედრაში სძლიეს ისეთ გამოცდილ ოსტატს, როგორიცაა საბჭოთა კავშირის პირველობის პრიზიორი ო. ეგაძე.

★

საერთაშორისო მატჩი კლასიკურ ჭიდაობაში

★

უმჩატეს წონაში ზ. მირიანაშვილის მეტოქე იყო მ. კაძიკავა. დასაწყისში უპირატესობა ქართველი მოჭიდავის მხარეს იყო, რომელმაც ქულაც კი წაართვა მეტოქეს ჩოქბჯენში გადაყვანის შედეგად. მაგრამ სულ მალე იაპონელმა ხელთ იგდო ინიციატივა და ბრძოლის ფაქტიური ბატონ-პატრონი გახდა. მან ჯერ ხიდზე შეაყენა მირიანაშვილი. შემდეგ ოსტატური კონტრილეთით ჩოქბჯენში გადაიყვანა მეტოქე. მირიანაშვილმა სცადა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ კვლავ ხიდზე აღმოჩნდა, რომელიც ამჯერად ნაკლებად გამძლე გამოდგა. მ. კაძიკავამ წმინდა გამარჯვებას მიაღწია.

ო. ეგაძის და მ. იჩიგუჩის ორთაბრძოლა მშვიდად დაიწყო. არც ერთი მხარე არ ფიცხობდა და დინჯად ამზადებდა შეტევას. და აი უეცრად იაპონელი წელში შეუვარდა მეტოქეს, რომელმაც წამით შეახუსტა უურაღლება. ეგაძე ხიდზე აღმოჩნდა. ამ მოულოდნელმა მანევრმა წონასწორობიდან გამოიყვანა ქართველი მოჭიდავე, რომელმაც ბრძოლის მეორე ნახევარი მიხთვის უჩვეულო გაუბედაობით ჩაატარა. იაპონელის უპირატესობა სულ უფრო და უფრო აშკარა გახდა. მან შეხვედრა ქულებით მოიგო.

მაღალ ტემპში დაიწყო ბრძოლა რ. რურუამ (ქვემსუბუქი წონა) ი. სასაბუჩის წინააღმდეგ. და თავშივე მიაღწია წარმატებას. შემდგომში იაპონელმაც შეძლო რამდენიმე ილეთის ჩატარება, მაგრამ რურუას უფრო მეტი და ფასიანი ქულა ჰქონდა და ამან მას ქულებით გამარჯვება მოუტანა. ქვემსუბუქ წონაში კიდევ ერთი ბრძოლა გაიმართა, რომელიც გუნდურ ჩათვლაში შედიოდა. ზ. ქორიძე 11 წუთის განმავლობაში იყო წინ და მხოლოდ უკანასკნელ წუთზე დაშვებული შეცდომით საშუალება მისცა იაპონელს გამოესწორებინა მდგომარეობა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ვ. ხანდოლიშვილის დებიუტმა მსუბუქ წონაში. მან აქტიურად ჩაატარა მთელი შეხვედრა და აშკარად დაჯაბნა თავისი მოწინააღმდეგე როგორც დგომში, ისე ჩოქბჯენში. ტ. ხავაუჩი რამდენიმეჯერ წმინდა დამარცხების საშიშროების წინაშე იდგა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში იგი ახერხებდა „გამოძრომას", ქულებით გამარჯვება მოიპოვა ვ. ხანდოლიშვილმა.

დ. გვანცელაძე ამჯერადაც თავისი პრინციპებიხ ერთგული იყო. მან მწვავე შეტევების სერიით არ მიხცა გონს მოსვლის საშუალება ი. სასაკის. ჩოქბჯენში გვანცელაძემ თავსზემოთ გადაგდებით წმინდა გამარჯვება მოიპოვა. მაყურებელმა მჭუხარე ტაშით დაჯილდოვა იგი.

საშუალო წონის მოჭიდავისათვის, ო. ბლიაძისათვის გუშინდელი ბრძოლა პირველი საერთაშორისო შეხვედრა იყო. და უნდა ითქვას, რომ მისი ნათლობა წარმატებით აღინიშნა. დასაწყისში ბლიაძე ფრთხილობდა, მაგრამ არც მისი მეტოქე იყო მაინცდამაინც აქტიური. პირველ 5 წუთში ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ მიაღწია ოდნავ წარმატებასაც კი. მე-6 წუთზე ბლიაძემ მოულოდნელი მოგვერდით ბეჭებზე დასცა მეტოქე. ამ ერთადერთმა ილეთმა წმინდა გამარჯვება მოუტანა ქართველ მოჭიდავეს.

ქვემძიმე წონაში ფ. გველესიანის მოწინააღმდეგე იყო ნ. ურატა. გველესიანმა მესამე წუთზე ჩოქბჯენში გადაიყვანა მეტოქე და აქედან ხიდზე დააყენა. შემდგომში მან შეინარჩუნა მოპოვებული უპირატესობა და მიაღწია დამსახურებულ გამარჯვებას ქულებით. მძიმე წონაში იაპონიის გუნდს მოჭიდავე არ გამოუყვანია, ამიტომ გამარჯვება უბრძოლველად მიეკუთვნა ა. ხაბეიშვილს.

საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა მოიგო შეხვედრა ანგარიშით 6,5:2,5.

ნ. ახვლედიანი

ᲬᲧᲣᲙᲔᲑᲘ... ᲡᲐᲠᲘᲪᲮᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔ

მონაწილეთა რაოდენობა ნაკლები, ხარისხი — უკეთესი. აი „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე გამართულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების მოკლე დახასიათება, თუ პარალელს გავავლებთ გასული წლის ამავე მასშტაბის ღონისძიებასთან.

ამ შეჯიბრების ძირითად მიზანს წარმოადგენს „განთიადის" უძლიერეს სპორტსმენთა შერჩევა პროფკავშირების საკავშირო პირველობისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ შეჯიბრებაში მხოლოდ სპორტის ოსტატები და პირველთანრიგოსნები მონაწილეობდნენ.

სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ სპორტის ოსტატის პროგრამით მონაწილე 11 ტანმოვარჯიშიდან დაწინაურდა პირველთანრიგოსანი ხ. ოვანესოვა: მან 27,0 ქულა დააგროვა და გაუსწრო თავის მთავარ კონკურენტს — სპორტის ოსტატ დ. შელიას.

ამ უკანასკნელმა დაკარგული ქულების დაბრუნება ნებისმიერ ვარჯიშებში სცადა. მან ოდნავ უკეთესი შეფასება მიიღო ნებისმიერ ვარჯიშში, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. ხ. ოვანესოვამ საერთო ჯამში 54,6 ქულა დააგროვა, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვა და ოსტატობაც შეასრულა. დ. შელია მას 0,2 ქულით ჩამორჩა. მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა ახალი ჩემპიონის ტყუპი ლ. ოვანესოვა.

კონკურსგარეშე გამოსული ტანმოვარჯიშეებიდან წარმატებას მიაღწია ა. ნავიჩენკომ, რომელმაც შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა — 54,2. კარგად გამოვიდა ე. ხუბულავაც.

დაკომპლექტდა „განთიადის" ნაკრები გუნდი, რომელიც ორკვირიანი წვრთნის შემდეგ გეზს აიღებს მოსკოვისაკენ.

გ. სამსონაძე



შედგა მორიგი მატჩები ფინალურ ჯგუფში საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

სამტრედიაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი" და ტყიბულის „მეშახტე". ბრძოლამ თავიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. სტუმრებმა თანდათან შეძლეს უპირატესობის მოპოვება და რამდენიმე მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან. შესვენების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და ინიციატივა რკინიგზელებმა ივდეს ხელთ. ერთ-ერთი შეტევისას ფირცხალავამ კარგად ჩაწოდა ბურთი ცენტრში და ვისოცკიმ მკერდით გაიტანა იგი კარში — 1:0. ტყიბულის ფეხბურთელთა ყოველი ცდა დაეღწიათ თავი დამარცხებისაგან, უშედეგო გამოდგა. ფორვარდებმა კვლავ ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი მომენტი და გამარჯვება დარჩათ სამტრედიელებს.

საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი ზუგდიდში ადგილობრივ „ოდიშსა" და ლანჩხუთის „გურიას" შორის. ჯერ კიდევ დასაწყისში ძალმა ორჯერ იხსნა სტუმართა კარი გოლისაგან, შემდგომში ლანჩხუთელებმა გამოასწორეს თამაში. შალე „ოდიშის" კარში დანიშნული 11-მეტრიანი საჯარიმო ზუსტად გამოიყენა ყორდანიამ, ხოლო ტაიმის ბოლოს ნარიაშვილმა ანგარიში ორამდე გაზარდა. შესვენების შემდეგ ზუგდიდელები გადამწყვეტ იერიშებზე გადავიდნენ. პირველი საპასუხო ბურთი გაიტანა ბულიამ 11-მეტრიანი საჯარიმოთი, რასაც მოყვა მისი პარტნიორის — თირქიას მიერ გატანილი მეორე გოლი — 2:2. მაგრამ ამ გადამწყვეტ მომენტში ლანჩხუთელებმა შეძლეს კიდევ ერთი ბურთის გატანა (ნარიაშვილი), რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა—3:2.

ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 13 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია" ლანჩხუთი	8	5	3	0	21:11	13
„ლოკომოტივი" სამტრედია	8	3	4	1	18:17	10
„ოდიში" ზუგდიდი	7	2	2	3	14:15	6
„ხიხარული" მახარაძე	7	2	2	3	8:11	6
„მეშახტე" ტყიბული	8	1	3	4	6:10	5
„იმერეთი" ქუთაისი	6	1	2	3	7:10	4

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. 13 ნოემბერს თავისი პირველი მატჩი ჩაატარა ქ. ბირმინჰამში სსრ კავშირის 1961 წლის ჩემპიონმა კიევის „დინამომ". კიეველთა წინააღმდეგ თამაშობდა „ასტონ ვილა", რომელიც თავისი ქვეყნის პირველობაზე აუტსაიდერთა შორის იმყოფება („ასტონ ვილამ" წელს ითამაშა თბილისში და დამარცხდა ადგილობრივ დინამოელებთან ანგარიშით 0:2). ინგლისელებმა ამჯერად ძლიერად ითამაშეს და დაამარცხეს კიევის „დინამო" ანგარიშით 2:1.

• • •

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ. აქ სტუმრადმყოფმა როსტოვის არმიელთა გუნდმა ითამაშა ჩინეთის არმიელთა გუნდთან. მატჩი მოიგეს როსტოველებმა—2:1.

• • •

ᲒᲐᲜᲐ. ამ ქვეყანაში თავისი ტურნე დაამთავრა მოსკოვის „ლოკომოტივმა", რომელიც შეხვდა „განა რესპუბლიკას".

გაიმარჯვა „ლოკომოტივმა" — 2:1.

• • •

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐ. მოსკოვის „ტორპედოს" უკანასკნელი მატჩი ჰქონდა ინდონეზიის ნაკრებ გუნდთან.

მატჩი დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 184 (1820)

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ორ დღეს გრძელდებოდა თბილისის პირად _ გუნდური პირველობა ველორბოლაში ჭაბუკთა და გოგონებს შორის. ჭაბუკებში 200 მეტრზე სვლით პირველი ადგილი მოიპოვა დინამოელმა ს. ბარამიამ. მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაგუნდელი ნ. კოკოჩაშვილი, სპრინტერულ რბოლაში მათ ადგილები შეიცვალეს.

გოგონათა შორის ვ. შახპარონიანმა („ბურევესტნიკი“) სამ დისტანციაზე არავის დაუთმო პირველობა (200 მ სვლით, სპრინტერული რბოლა და 500 მ ადგილიდან). ჭაბუკთა შორის ორ კილომეტრზე რბოლაში პირველი ადგილი დაიკავა „დინამოს“ წევრმა (ტ. ნიკარაძე-ს. ბარამია).

სამწუხაროდ 50 წრეზე ჯგუფური რბოლის დროს მწვრთნელებმა ხელი შეუშალეს ველოსიპედისტებს, რის გამოც სამმა სპორტსმენმა ვერ დაამთავრა დისტანცია. ის ფაქტი, რომ მწვრთნელს დახმარების გაწევა სურს თავისი სპორტსმენისათვის, გასაგებია, მაგრამ ამით მან ხელი არ უნდა შეუშალოს რბოლის ნორმალურ მსვლელობას. ჯგუფური რბოლა 50 წრეზე მოიგო ნ. კოკოჩაშვილმა („დინამო“).

გუნდური პირველობა მოიპოვეს „დინამოს“ ველოსიპედისტებმა (მწვრთნელი ვ. ჯოხაძე).

ა. ᲕᲐᲡᲘᲚᲐᲫᲔ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ

რაიონის ცენტრალურ სტადიონზე ორ თვეს მიმდინარეობდა ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა შეჯიბრება „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს გარდამავალ თასზე. შეჯიბრება ერთნაირი შედეგებით დაამთავრეს სარემონტრ-სამშენებლო კანტორისა და რაიკოოპერატივის ფეხბურთელთა გუნდებმა. რაიკოოპერატივის კოლექტივმა მოიგო დამატებითი მატჩი და მესამედ შეინარჩუნა უძლიეოესის სახელი.

• • •

დამთავრდა მოსწავლე ფრენბურთელთა რაიონული პირველობა. ვაჟთა შორის საუკეთესონი იყვნენ სოფელ როხის საშუალო სკოლის ფრენბურთელები. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ვ. მაიაკოვსკის სახ. საშუალო სკოლის ფრენბურთელები.

ქალთა შორის გამარჯვება მოიპოვეს სოფელ დიმის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა სოფელ ობჩის II საშუალო სკოლის ფრენბურთელთა გუნდი.

ბ. ᲛᲔᲣᲐᲜᲐᲫᲔ



ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲢᲠᲐᲑᲐᲮᲝᲑᲔᲜ

ამას წინათ ბუენოს-აირესში გაიმართა პრეს-კონფერენცია, სადაც განცხადება გაკეთა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა. მისი აზრით, ჩილში აუცილებლად უნდა მოხდეს მსოფლიო ჩემპიონის ცვლა, რადგანაც ამჟამად ბრაზილიელებს ძალა არ შესწევთ გაუმკლავდნენ არგენტინელებს.

„ჩვენ ამჟამად იმდენად ძლიერი ნაკრები გვყავს, რომ შეგვიძლია ორი ბურთი მივცეთ ნებისმიერ მეტოქეს“. ეს განცხადება გაკეთებულ იქნა ბუენოს-აირესში პარაგვაის გუნდის სასტიკად დამარცხების შემდეგ (5:1), თუმცა, როგორც პოლონური გაზეთ „სპორტის“ მიმომხილველი შენიშნავს, ეს არაა საფუძველი ასეთი კვეხნისათვის. „არგენტინის ფეხბურთის მესვეურნი ასევე იკვეხნიდნენ მსოფლიოს წინა ჩემპიონატის წინ, თუმცა ყველასათვის ცხადია, თუ რა შედეგი მოყვა ამას“ — ასკვნის მიმომხილველი.

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ

ინგლისის ეროვნული ნაკრები, რომელიც სტაბილური ანსამბლი გახდა მწვრთნელ უ. უინტერბოტომის თითქმის სამწლიანი შეუპოვარი მუშაობის შედეგად, კვლავ მნიშვნელოვანი სიძნელეების წინაშე დადგა. მართალია, გუნდმა მოიპოვა ჩილში გამგზავრების უფლება, მაგრამ მისი შემადგენლობიდან რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ამოვარდნამ დამაშუბს თავისი დიდი დასავლ. მძიმეა აგრესიული ჯიმ გრეივსის დაკარგვა. სუსტ ფორმაშია აგრეთვე ნაკრების მთავარი „დამკვრელი ძალა“ — ცენტრფორვარდი რ. სმიტი, რომელსაც ინგლისელი სპორტული მიმომხილველები „რობერტ ლომგულს“ უწოდებენ. ასეთ პირობებში უინტერბოტომს მოუხდა ნაკრების შემადგენლობის (განსაკუთრებით თავდასხმის) ვადასინჯვა.

ინგლისის ნაკრები ბრიტანეთის ქვეყნების ტრადიციულ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს ასეთი შემადგენლობით: კარს იცავს საუცხოო ფორმაში მყოფი სპრინჯეტი („შეფილდ უენსდეი“), რომლის დუმლიორად ითვლებოდა ჰოპკინსონი („შეფილდ იუნაიტედი“). მცველებად თამაშობენ არმფილდი („ბლეკპული“) და უილსონი („ჰიდერსფილდი“), რომელმაც ნაკრების „შტატიანი“ ფეხბურთელი მაკნეილი შეცვალა. ნახევარდაცვა ინგლისის ნაკრების უძლიერეს რგოლად რჩება. აქ კვლავინდებურად თამაშობენ რობსონი („ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“), სვენი („შეფილდ უენსდეი“) და ფლაუერსი („ვულვერჰემპტონ უონდერერსი“). დიდი ცვლილებები მოხდა თავდასხმაში. მარჯვენა გარემარბად თამაშობს კონელი („ბერნლეი“), რომელიც ხშირად ცენტრში ინაცვლებს. დუგლასმა („ბლეკბურნი“) ამჟამად დაიკავა მარჯვენა შუამარბის პოზიცია, კონელის პარტნიორი „ბერნლეიდან“ პოინტერი შეუპოვარი და დიდად შედეგიანი ცენტრფორვარდია, გასული სეზონის განმავლობაში ივი სმიტის სახიფათო მეტოქე იყო, ხოლო ამჟამად უკეთესადაც კი თამაშობს. მარცხენა ფრთაზე ძველებურად თამაშობენ გუნდის სტრატეგი ჰეინსი (№ 10) და ჩარლტონი (№ 11). ნაკრებში თამაშის კანდიდატებად ითვლებიან აგრეთვე სმიტი, ვაიოლუტი (№ 10, „მანჩესტერ იუნაიტედიდან“) და „ბენლეის“ შუამარბი რობსონი.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში არ არის ინგლისის ჩემპიონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ არცერთი მოთამაშე.

თ. სიზოვსკის ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

მთელი მსოფლიოს ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ გამოჩენილ ფრანგ ცენტრფორვარდ თ. სიზოვსკის. 1956 წ. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში „წითელ ეშმაკუნებთან“ — ბელგიელებთან მან 5 (!) ბურთი გაიტანა. იგი 17-ჯერ იცავდა საფრანგეთის პირველი ნაკრების ლიბერებს.

მაგრამ „სიზო“ ხანში შეეფეთა. „რესინგის“ მწვრთნელმა ბ. პარამ, რომ აღარ მოისურვა 33 წლის ფორვარდთან ხელშეკრულების განახლება. ეს მოხდა შარშან. მაგრამ სიზოვსკის ჯერ კიდევ ძალა შესწევდა და მსურველიც ბევრი გამოუჩნდა, პირველ რიგში კი პარიზის კლუბები „სტად ფრანსეზ“ და „რედ სტარი“. სიზოვსკიმ პრივილეგიული „ვალენსიენი“ აირჩია, რომელიც ამჟამად მეორე ლიგაში თამაშობს.

ამას წინათ კატოვიცეს (პოლონეთი) გაზეთ „სპორტის“ კორესპონდენტი ესაუბრა ცნობილ ფეხბურთელს. სიზოვსკი კარგად შეეგუა თავის ახალ კლუბს და მისი წამყვანი ფორვარდია (გაიტანა 12 ბურთი), მაგრამ მიიჩნევს, რომ მისი კარიერა დიდ ფეხბურთში უკვე დამთავრდა.

ᲩᲘᲚᲔᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲘᲡ ᲪᲕᲚᲐ

„ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲘᲡ ᲚᲝᲛᲒᲣᲚᲘᲡ“ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ. დასასრულს უახლოვდება რუმინეთის ჩემპიონატის საშემოდგომო ნაწილი. სწორედ ახლა შედგა სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი „პეტროლულსა“ და ბუქარესტის „დინამოს“ შორის, რომელიც მოიგო „პეტროლულმა“ — 2:0.

ამის შემდეგ გათამაშებას სათავეში ჩაუდგა „პეტროლული“, რომელსაც აქვს 15 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან „სტიაგულ როშუ“, „დინამო“ (ბუქარესტი) — 14 ქ. „პროგრესული“—13 ქ. და ა. შ.

• • •

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ამ ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა გათამაშების ლიდერმა „ბერნლიმ“, რომელმაც ანგარიშით 3:0 დაამარცხა „ასტონ ვილა“. ზუსტად ასეთივე ანგარიშით წააგეს მატჩები შარშანდელმა ჩემპიონმა „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ „ევერტონთან“, „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა“—„ლეისსტერ სიტისთან“ და „არსენალმა“ — „ჩელსისთან“. გამარჯვებები მოიპოვეს „შეფილდ უენსდეიმ“ — „მანჩესტერ იუნაიტედთან“ (3:1) და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ — „ბლეკბორნ როვერსთან“ (4:0).

ამჟამად მდგომარეობა გათამაშების ცხრილში ასეთია: „ბერნლი“ — 23 ქულა. „ევერტონი“, „იპსვიჩი“, „უესტ ჰემი“ — 19, „შეფილდ უენსდეი“, „ტოტენჰემი“ —18, „ფულჰემი“, „კარდიფ სიტი“ — 17, „ბოლტონ უონდერერსი“, „ლეისსტერ სიტი“, „მანჩესტერ სიტი“, „ბლეკპული“, „ნოტინჰემი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 15, „არსენალი“, „ბირმინჰამი“ — 14, „ვესტ ბრომვიჩი“, „ვულვერჰემპტონი“, „ბლეკბურნი“, „შეფილდ იუნაიტედი“, „ასტონ ვილა“ — 13, „ჩელსი“ — 10 ქულა.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ი. ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ

18 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ 10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ
ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲑᲐᲚᲔᲢᲘ ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ
„ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲗ“
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04106